N 5
02/06/2020

5-07-4-202006021150

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი 25. 05. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის პირველი მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „ა(ა)იპ გამარჯვებულ ქალთა კლუბი"-სთვის (ს/კ 404875890) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2020-2023) დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.
მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 29 მაისი, 11:00 საათი.
მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „ა(ა)იპ გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-სთვის (ს/კ 404875890) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა ,,ა(ა)იპ გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-ს (ს/კ 404875890) პრეზიდენტმა ნარგიზი ლებანიძემ (კანცელარიის N1646; 04.05.2020 წ.),

რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქ.N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს/კ 27.06.52.002.01.500) საოფისე ფართის გამოყოფა. აღნიშნული ქონება ა(ა)იპ-ს ესაჭიროება საკუთარი ფუნქციების განხორციელებისათვის. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა და ხსენებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ორი წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) მესამე სართულზე მდებარე N25 (22.33 კვ.მ) ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გასცეს არაუმეტეს ორი წლის ვადით. ვინაიდან მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ერთ - ერთი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზემოთ ხსენებული ა(ა)იპ-ის საქმიანობის მხარდაჭერას, აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელი რომ არ შეეშალოს იურიდიული პირის ფუნქციონირებას, მიმართავენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ა(ა)იპ ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი“ წლებია, რაც იყენებს აღნიშნულ ფართს, მაგრამ აუცილებელია, რაღაც ფორმით იქნას მათთვის გადაცემული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ერთ - ერთი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზემოთ ხსენებული ა(ა)იპ-ის დაფინანსებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ვერ შეძლებენ ქირის გადახდას. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, კლუბის საქმიანობიდან გამომდინარე, მხარი უნდა დაუჭირონ და ხელი შეუწყონ მის ფუნქციონირებას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „ა(ა)იპ გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-სთვის (ს/კ 404875890) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.
მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ წარადგენს აღნიშნული სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებულ საქმიანობის ანგარიშს მასში შემავალი განყოფილებების მიხედვით:

ქონების მართვის განყოფილების მიერ სხვადასხვა საკითხებზე მომზადებული იქნა 36 მოხსენებითი ბარათი. სახელმწიფო ქონების სააგენტოდან შემოვიდა 49 წერილი და პასუხი გაეცა 49 წერილს. გუბერნიიდან შემოსულია 42 წერილი და პასუხი გაეცა 39 წერილს, დანარჩენ წერილებზე დამატებით მოთხოვნილია გუბერნიიდან საქმის გამოკვლევისთვის საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან შემოვიდა და პასუხი გაეცა 58 წერილს. შსს, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და სხვა სტრუქტურებში მომზადდა და გაიგზავნა 45 წერილი.

ქონების მართვის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადმოსაცემად, რის შემდგომაც მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა 25 უძრავი ქონება. გასხვისდა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 6 უძრავი და 2 მოძრავი ქონება. ჩატარებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში ინვენტარის აღრიცხვა და მათი დანომრვა.

აღრიცხული იქნა და გადაეცა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ბალანსზე ასაყვანად ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონებები. მომზადებული იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც გაფორმდა როგორც საასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებები. განყოფილების მიერ მომზადებული იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებების პრივატიზებისათვის საუქციონო მასალების მომზადება.

ინტენსიურ რეჟიმში, ყოველდღიურად ხდება გუბერნიიდან, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილების მიღება, დამუშავება და პასუხის გაცემა. მუდმივ რეჟიმში ხდება საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და გეგმის განახლება.

სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის განყოფილების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო სამეურნეო მონაცემების ბაზებისათვის დროულად ახდენდნენ ოპერატიული ინფორმაციების შეგროვება-დამუშავებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროდან მიღებული ფორმების შესაბამისად ინფორმაციებს აწვდიდდნენ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებს. მიღებულ ინფორმაციებს ამუშავებდნენ და განსაზღვრულ ვადებში აგზავნიდნენ სამინისტროში დანიშნულებისამებრ.

ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წელსაც მიმდინარეობდა „აზიური ფაროსანა“-ს წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა შეწამვლის დაგეგმვასა და კოორდინაციის პროცესებში. განყოფილება მერის წარმომადგენლებთან ადმნინისტრაციულ ერთეულებში ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის შტაბში (აბაშა) დაგეგმილ შეხვედრებზე

უზრუნველყოფდა კოორდინაციას სპეციალური ტექნიკით (ტრაქტორი, სკაუტი) აღჭურვილი ჯგუფების ადმინისტრაციული ერთეულებში სამუშაობის დროულად დაწყებას წარმომადგენლებთან ერთად. ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და სამუშაო დღის მაქსიმალურად გამოყენებას. ზემოაღნიშნულ;ი პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მაშტაბით 8415 ჰა. დამუშავდა. მათ შორის 2312 ჰა.სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა (სახნავ-სათესი ფართობები) და მისი მიმდებარე ფართობები. გარდა ამისა, თერმული წესით დამუშავდა დასახლებული ადგილები, საკარმიდამო ნაკვეთები, რამაც საგრძნობლად შეამცირა ფაროსანას რაოდენობა. ფაროსანას მიერ მიყენებული ზარალი მკვეთრად შემცირდა, რის შედეგადაც სიმინდის მოსავლის ხარისხი ამაღლდა, ასევე ხილის მოსავალიც უკეთესი ხარისხის იყო.

ასევე, 2019 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ, უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე N18 ხელშეკრულების საფუძველზე, მომზადდა და გაფორმდა ხელშეკრულება მონადირეთა ჯგუფთან მგლის რეგულირების მიზნით. ჯგუფებს მიეცა ნებართვა ხუთი მგლის ინდივიდის ბუნებიდან ამორებაზე. ასევე, განყოფილებამ 2019 წლის ბოლოს ორჯერ მიიღო მონაწილეობა სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ღონისძიებაზე სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით, რის საფუძველზე მდინარე სუფსის აუზში იგეგმება მომავალ წლებში გარკვეული სამუშაოები და აქტიურად იქნებიან ჩართულები სამუშაო გეგმების შედგენაში.

ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების ინიციატივით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომლებიც გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდა -განვითარებაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი გახლავთ ლანჩხუთის ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ტექნიკური მხარდაჭერით. გეგმის შედგენის პროცესს ორგანიზებას უწევდა ეკონიმიკისა და ტურიზმის განყოფილება. მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდა კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. ევროკავშირის წარმომადგენლებთან აქტიური კონტაქტით და კონსულტაციით მოთხოვნილ ვადაში განყოფილების მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების გეგმა, რომელიც საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. (ტურიზმის განვითარება: ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის მოწყობა, ცენტრალურ მაგისტრალთან საინფორმაციო ბიუროს მოწყობა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზნით საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.) გეგმა მოიცავს ღონისძიებების განხორციელების კონკრეტულ ვადებს, სავარაუდო ბიუჯეტს და შეფასების ინდიკატორს. გეგმის შედგენის პროცესში შეიქმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა. შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობისას უპირატესობას ანიჭებდა ინდივიდუალურ შეხვედრებს. არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის სამუშაო ჯგუფი ხვდებოდა სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ამის გამო, მომზადებული გეგმა გამოვიდა რეალური და ყველასთვის მისაღები. დოკუმენტი განხილული იქნა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და ინიციატივა “მერები ეკონომიკური ზრდისთვის” მიერ შეფასდა საუკეთესოდ.

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი“. ტრენინგებისა და კონსულტაციების შედეგად განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა საკუთარი პოტენციალი, განისაზღვრა პრიორიტეტები და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდა როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. გაეროს

განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) პროექტი: რეგიონული ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ((FRLD) ფაზა 2 მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების აქტიური მონაწილეობით მომზადდა პროექტი „ტურისტული მარშრუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის“. აღნიშნული პროექტი საშუალებას იძლევა, პროექტით გათვალისწინებულ თემებში შეიქმნას ტურისტული მარშრუტები, ტურისტული ინფრასტრუქტურა შესაბამისი რეკლამით, დაფუძნებული ტურისტულად მიმზიდველ ადგილებზე. პროექტის მიზნიდან გამომდინარე, შექმნილი რეალობა ხელს შეუწყობს და განავითარებს მოსახლეობის ფართო ჩართულობას გარე და შიგა ვიზიტორებთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სუვენირების, გურული ტრადიციული კერძების, თაფლის არაყის, გურული ვაზის ჯიშის „ჩხავერის“ ღვინის დაგემოვნება-გაყიდვით, მომსახურების სფეროს განვითარებით და ეკონომიკური აქტივობის ზრდით, რაც შემდგომში მიიღებს ტრადიციულ სახეს.

ყოველივე ზემოთქმული გარანტიაა იმისა, რომ აღნიშნული პროექტი გრანტის დამთავრების შემდეგ იქნება სიცოცხლისუნარიანი, გრძელვადიანი, მდგრადი და აღნიშნული თემებისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანი. ასევე, პროექტის განხორციელება და შექმნილი ობიექტების მოვლა-პატრონობა, პოპულარიზაცია დაეკისრება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრს, რაც იქნება კიდევ ერთი გარანტია გრანტის დამთავრების შემდეგ პროექტის მდგრადობისა. ამავე პროექტის ფარგლებში ხორციელდება სოფელ გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება. პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250000 ლარს. პროექტის განხორციელების ვადაა 180 სამუშაო დღე (ადმინისტრაციული წარმოებისათვის საჭირო დროის გარეშე). ფიქრობენ, რომ ეს მუნიციპალიტეტის საკურორტო ზონის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია, რისთვისაც დიდი მადლობა უნდა გადაუხადონ პროექტის განმახორციელებლებს.

ტურიზმის განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაში. მიწვეული იყავნენ ქ. ოზურგეთში პროექტ „რა ყოფილა გურიას“ დასკვნით პრეზენტაციაზე, როგორც სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე მხარე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ ,,კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოაცხადა კონკურსი „კულტურული მარშრუტების გამოვლენა და პოპულარიზაცია“. მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილებამ ა(ა) აიპ „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინოვაციების ცენტრთან“ ერთად იმუშავა პროექტზე ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მარშრუტების მარკირება და პოპულარიზაცია“. აქტიური მონაწილეობა მიიღეს და პოპულარიზაცია გაუუწიეს გურიის მხარის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ფოტო-კონკურსს “ეს გურიაა“, რომელშიც გაიმარჯვა ლანჩუთის #1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ქეთა მენაღარიშვილმა. მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-გაყიდვაში „ექსპო ჯორჯია-2019“. მუნიციპალიტეტი საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად ქობულეთი, ფოთი, ბათუმი გაერთიანებულია საერთაშორისო ანსამბლეაში „მწვანე ტურიზმი“, აქედან გამომდინარე ამზადებენ მასალებს ვებ. გვერდისათვის. ორგანიზება გაუკეთეს ,,მეწარმე ქალთა ფორუმში“ ლანჩხუთელი მეწარმე ქალების მონაწილეობას. კონკურსის გზით გამარჯვებულად გამოცხადდა საპროექტო განაცხადი ,,თეთრეულის წარმოება“, პროექტი დაფინანსდა 1500 ლარით. ,,სოფლად ტურიზმის განვითარება’“ ფორუმის ფარგლებში, ტურისტული ობიექტების პოპულარიზაციის მიზნით მოწვეული ყავდათ 18 ტურ-ოპერატორი, რომლებმაც საინტერესო ინფორმაციები განათავსეს საკუთარ სოციალურ ქსელში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, თუნდაც როგორიცაა სოფელ გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება, რომელიც მუნიციპალიტეტის საკურორტო ზონის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია. მან ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულწილად მოუწესრიგებელია მუნიციპალიტეტისთვის ამათუიმ ქონების საკუთრებაში გადმოცემის საკითხი, მაგრამ ამაში მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს ბრალი არ მიუძღვის. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, არაერთხელ მიმართეს წერილობით შესაბამის უწყებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა მიეცეთ ობიექტების - მიწა იქნება ეს, თუ შენობა-ნაგებობები, გასხვისების უფლება, რადგან რაც უფრო მეტი ქონების რეალიზება მოხდება, მით მეტი შემოსავალი იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბაზრის ტერიტორიაზე გასხვისებული მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეიძინა სპონსორმა, არის თუ არა დაგეგმილი ან მესაკუთრესთან თუ იყო საუბარი რაიმე შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ქონდა შეხვედრა ბიზნესმენთან, რომელიც არის სოფელ აცანიდან, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში ამოქმედებულიყო აგრარული ბაზარი, როგორიც იყო წლების უკან. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, პროცესები შეჩერდა, მაგრამ გეგმა მზადაა და ძალაშია. არის წინადადება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით ექვსი თვის მანძილზე, მოვაჭრეები გაათავისუფლოს გადასახადისგან, ასევე დანიშნოს უფასო შიდა ტრანსპორტი. თუკი ავტოსადგური გადავა ძველ სადგურთან და ამის შესახებ იყო საუბარი მის ხელმძღვანელობასთან, მაშინ იგი მოემსახურება მუნიციპალიტეტს, ხოლო თუკი ეს არ მოხერხდება, მაშინ დაინიშნება უფასო შიდა ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრების გადაყვანას. ბიზნესმენი არის ძალიან მოწადინებული და მონდომებული, მაგრამ განვითარებულმა მოვლენებმა შეუშალა ხელი პროექტის განხორციელებაში.

ბიუროს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსსა და მის თითოეულ თანამშრომელს სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და უსურვეს წარმატებები.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მისი განმარტებით, ქვეყანაში რამდენიმე თვის განმავლობაში შეიქმნა მძიმე სიტუაცია, რის გამოც რამდენიმე მუნიციპალიტეტს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ დღეის მონაცემებით ლანჩხუთის მუნციპალიტეტში შედარებით მშვიდი სიტუაციაა და ამ კუთხით რაიმე სერიოზული პრობლემა ნამდვილად არ შექმნილა. ყველა აღებული ვალდებულება აპრილის და მაისის თვის ჩთვლითაც გასტუმრებულია. რაც შეეხება შემოსავლებს (კაპიტალურის ჩათვლით), მობილიზებულია 3186598,52 ლარი, რაც გეგმის 31,26%-ს შეადგენს. გადასახადის საკასო შემოსავალი 2178532,28 ლარია და გეგმის შესრულება 24,45%-ს შეადგენს. დამატებითი ღირებულების გადასახადის საკასო შესრულება 2102831,84 ლარია, რაც გეგმის 27,64%-ია. დამატებითი ღირებულების

გადასახადთან დაკავშირებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება წლის განმავლობაში შესრულებული იყოს. რაც შეეხება ქონების გადასახადს, ამ შემთხვევაში ნაკლებია შემოსავალი და შეადგენს 75700,44 ლარს, რაც გეგმის 5,82 %-ია, მაგრამ არის მოლოდინი, რომ წლის ბოლომდე პრობლემა არ იქნება. არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადმა შეადგინა 34852,11 ლარი, რაც გეგმის 7,92 %-ია. მუნიციპალიტეტის მერის აზრით გარკვეული პრობლემები შეიქმნება არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადთან დაკავშირებით, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ გრიგოლეთში არსებული სასტუმროები გათავისუფლებულია გადასახადებისგან. სხვა შემოსავლების საკასო შესრულება 1001219,04 ლარია, რაც გეგმის 98,72%-ია. აქედან, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გეგმა შესრულებულია 21,17%- ით და არანაირი პრობლემა არ იქნება წლის ბოლომდე მის შესასრულებლად. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავლის გეგმა შესრულებულია 81,32%-ი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის შესრულება 11,22%-ია, ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებული შემოსავალი 908922,53 ლარია, რაც გეგმის 121,19,9%-ია.

მუნიციპალიტატის მერმა აღნიშნა, რომ, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საერთო ჯამში სიტუაცია ვითარდება ნორმალურად და არ არის იმის საშიშროება, რომ მუნიციპალიტეტს რაიმე ვალდებულება დარჩება გაუსტუმრებელი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებული ა(ა)იპ-თვის თანხის დამატებას, ამ მხრივ საუბარი არ არის. მხოლოდ ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით საკითხი სავარაუდოდ, საკრებულოს შემდეგ სხდომაზე შემოვა, რადგან შექმნილ სიტუაციაში მათ ძალიან დიდი სამუშაოები გაწიეს.

მუნიციპალიტატის მერის თქმით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვიდან) მიღებული შემოსავალი დაბალია და ამ კუთხით იქნება მუშაობა. რაც შეეხება, ივნისის და ივლისის თვეების ხელფასების გასტუმრებას, ამ კუთხით არანაირი პრობლემა არ შეიქმნება. როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტს შეაჩერებინეს შიდა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები, მხოლოდ რამდენიმე მცირე პროექტი შეათანხმეს და ისინი გრძელდება. ასევე, სავარაუდოდ, განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში რამდენიმე ოთახის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ასევე, სურვილი ქონდათ, რომ 26 მაისისთვის მოსწრებულიყო საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალის დადგმა, რომლის პროექტიც გაკეთებულია და გადიოდა ტენდერზე, საუბარია დაახლოებით 20000 ლარზე, მაგრამ პანდემიის გამო ესეც შეჩერებულია. სავარაუდოდ, ახლო მომავალში ეს პროექტი განხორციელდება.

მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, საერთო ჯამში ბიუჯეტი ვითარდება ნორმალურად და დინამიკურად.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** საკითხი დასვა ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის თანხის დამატებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშულმა ა(ა)იპ მართლაც ძალიან დიდი სამუშაოები განახორციელა. თანხის დამატებაზე მსჯელობა დღევანდელი დღისთვის ფიზიკურად ვერ მოესწრებოდა, რადგან პროექტი ამ დროისთვის შემოსული არ არის. მისი თქმით, უახლოეს მომავალში აუცილებლად მოხდება აღნიშნული საკითხის განხილვა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მიმდინარე წლის პირველ მაისამდე მას უნდა წარმოედგინა გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები ქვეყანაში შექმნილი

პანდემიური სიტუაცია და ასევე ისიც ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტმა საკმაოდ კარგად დაასრულა 2019 წელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ უნდა დაირღვეს კანონის მიერ მოთხოვნილი პროცედურები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მიმდინარე წლის მარტის თვეში შემოვიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე არ გამოსულა მოხსენებით. უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის მერი წარდგება საკრებულოს წინაშე გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშით.

ბიუროს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს სამსახურეობრივი მოვალეობის სათანადოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის აპრილის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2020-2023) დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს ლანჩხუთის საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ ხედვას, მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად. დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

1.**მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები**:

მუნიციპალიტეტის ხედვა: ლანჩხუთი ევროპული სტილის, ცხოვრებისათვის უსაფრთხო და საინტერესო ქართული ტრადიციების მუნიციპალიტეტია, სადაც მოწერიგებულია საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, მაღალ დონეზეა განვითარებული აგრარული სექტორი და აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. გლეხებისა და ფერმერების მომსახურეობა ხდება აგროტექნიკური სერვისის მეშვეობით, განვითარებულია ტურიზმი, მაქსიმალურადაა გამოყენებული ბუნებრივი რესურსები მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტის მიზნები და ამოცანები:

მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას დასახული აქვს განვითარების შემდეგი მიზნები და ამოცანები: **მიზანი 1.** ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა ბიზნესისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

ამოცანა 1.1. ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესება, მათ შორის მუნიციპალიტეტის მთაგორიან სოფლებში და ტურისტული სერვისების განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 1.2. აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

ამოცანა 1.3 გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა

მიზანი 2. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ბიზნეს საქმიანობის წახალისება

ამოცანა 2.1 მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა

ამოცანა 2.2 მიწის რესურსისა და მუნიციპალური ქონების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანა 2.3 ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა 2.4 ინვესტიციების მოზიდვა მუნიციპალიტეტში

მიზანი 3. მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

ამოცანა 3.1 მოსახლეობის ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება

ამოცანა 3.2 სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 3.3 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების განვითარება

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

2. სიტუაციის ანალიზი

ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 53,300 ჰა-ს. აქედან სასოფლო - სამეურნეო სავარგულებს უკავია 23,369 ჰექტარი. კოლხეთის ეროვნული პარკის 15,000 ჰა ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაშია. მუნიციპალიტეტი იყოფა 16 ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც აერთიანებს 55 სოფლის ტიპის დასახლებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 30,5 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 28%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 21%-ია, ხოლო 79 %, ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 30,5 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 28%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 21%-ია, ხოლო 79 %, ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 3%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვეც ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (-3%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 57,2კაც/კვ.კმზე. სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე გაიზარდა 6%ით და მიაღწია 2 090კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა 2%-ით (7 155 კაცი). 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 75%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 24%ია და 3%-იანი კლებით ხასიათდება (2015- 2018წწ.).

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, შედარებით ნაკლებად ტურიზმი და მომსახურების სფერო. სტრატეგიული მნშვნელობის ობიექტების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც დასაქმების, აგრეთვე უსაფრთხოებისა და ცნობადობის კუთხით. ასეთი მნიშვნელობის ობიექტების არსებობა მეტი სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე მიუთითებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ახალი მსხვილი ინვესტიციების მოსაზიდად.

სოფლის მეურნეობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კლიმატურ გეოგრაფიული მდგომარეობა ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის, როგორც პირველადი წარმოების ასევე გადამამუშავებელი მეურნეობის განვითარებისათვის. ბათუმი-თბილისის მაგისტრალის მდებარეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საშუალებას იძლევა მუნიციპალიტეტი გურიის მთელი რეგიონის მასშტაბით გახდეს აგრარული პროდუქციის ერთ - ერთი მთავარი რეალიზატორი.

სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტში საკმაოდ მრავალფეროვანია, გავრცელებული დარგებია მეხილეობა (კენკროვან-კურკოვანი, სუბტროპიკული), მეთხილეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა-მეციტრუსეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მემინდვრეობა და სხვა.

მუნიციპალიტეტის მიწის საერთო ფართობი შეადგენს - 49,856 ჰა. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მთლიანი ფართობია - 22,268 ჰა. მიწის განაწილება კატეგორიის მიხედვით შემდეგნაირია: სახნავი-12400 ჰა, მრავალწლიანი -5830 ჰა, საძოვარი - 3614 ჰა, სათიბი - 424 ჰა. გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 12,500 ჰა. სახელმწიფო საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების - 8,508 ჰა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის - 18,067 ჰა. კერძო საკუთრებაში მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო მიწის 15,560 ჰა.

ფართობების კუთხით ძირითადი ნაწილი მოდის თხილისა და სიმინდის კულტურებზე, ისინი გაშენებულია შესაბამისად 2,400 და 1,780 ჰა-ზე. ასევე საგულისხმოა ჩაისა და მანდარინის კულტურების მოყვანა მუნიციპალიტეტში.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მხრიდან სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში გაცემული დაფინანსების ყველაზე მაღალი წილი მოდის ჟოლოს მოყვანასა და მებაღეობის მიმართულებებზე, ასევე მეფუტკრეობის დარგზე.

არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მრეწველობა

მუნიციპალიტეტში არსებული რესურსი საშუალებას იძლევა ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად და ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგად იყოს მიჩნეული. დინამიკიდან გამომდინარე ვიზიტორთა რაოდენობა საგრძნობლად იმატებს აგვისტოს თვეში. მუნიციპალიტეტში არის 14 სტანდარტული და 11 საოჯახო ტიპის სასტუმრო, მიმდინარეობს დამატებით 4 სასტუმროს მშენებლობა. მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დაახლოებით 700-მდე დამსვენებელი განთავსების კუთხით, დღის განმავლობაში. მუნიციპალიტეტში არის კვების 14 ობიექტი და სუვენირების 3 მაღაზია. ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა გრძელდება 5 თვის განმავლობაში ივნისის თვიდან ოქტომბრის თვის ბოლომდე. მუნიციპალიტეტში არსებული ტაძრები, ისტორიული ადგილები, ხელოვნური გამოქვაბულები ტურიზმის განვითარების კარგ წინაპირობას იძლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადი საექსკურსიო, ტურისტული და დასასვენებელი ობიექტებია შავი ზღვის სანაპიროზე ყვავილნარი და გრიგოლეთი, ამ უკანასკნელისთვის საჭიროა კურორტის სტატუსის მინიჭება, რომელიც გამოირჩევა ტიტანო მაგნიტური სამკურნალო ქვიშებით (მაგნიტის შემცველობა 30-35%). ასევე აღსანიშნავი ტურისტული ობიექტებია კოლხეთის ეროვნული პარკი (პალიასტომის ტბა,

იმნათის ტბა და მდინარე ფიჩორის ქვემო წელი შესართავამდე), სამება-ჯიხეთის დედათა მონასტერი, წმინდა გიორგისა და მაცხოვრის ეკლესიები, კიბულას ჩანჩქერი და მდ. აცაურას ხეობა, ორკარის კანიონი მცირე ჩანჩქერებით. ტურისტებს შეუძლიათ არანაკლებ 5 მუზეუმის მონახულება.

ტურისტების დაყოვნება მუნიციპალიტეტში არ ხდება, რაც გამოწვეულია ტურისტულ მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობით, ინფორმაციის ნაკლებობით ორგანიზებული ტურების შესახებ, გიდების, ტურისტულ მარშრუტებზე და ობიექტებზე მაჩვენებლებლების და ბანერების სიმცირით. არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ადგილებისა და მიმართულებების მაჩვენებლების სისტემის მოწესრიგება, კერძოდ, საინფორმაციო დაფის განთავსება ქალაქის ცენტრში.

გარდა უკვე არსებული კულტურული და ბუნებრივი ძეგლებისა, მნიშვნელოვანია სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარება და ტურისტებისთვი დამატებითი საჭირო და კომფორტული სერვისების შეთავაზება, კერძოდ: (1) სოფელ გრიგოლეთში ყოფილი დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე, მუნიციპალური პლაჟის მოწყობა, თუნდაც საბაზისო პირობებით და შემდგომში განვითარების პერსპექტივით (პლაჟის ყოველდღიური დასუფთავება, გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობა, დასაწყისისათვის თუნდაც ორი ტუალეტის დადგმა, ინვენტარის გაქირავება და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრის გახსნა). აღნიშნულ ტერიტორიაზე ზაფხულობით ტურისტული გამოფენები მოეწყობა, მდ. კაპარჭინაზე კი გასაბერი ნავებით ტურისტების გასეირნება და ანკესობა (თევზჭერა) არის შესაძლებელი. (2) სოფელ გრიგოლეთისათვის კურორტის სტატუსის მინიჭება. ეს საკმაოდ დიდ სტიმულს მისცემს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საოჯახო ტურისტული სასტუმროების ქსელის განვითარებას. (3) კოლხეთის ეროვნულ პარკში ვიზიტორთათვის (პალიასტომის ტბის გვერდის ავლით) მდ. ფიჩორზე გასასვლელის მოწყობა და გრიგოლეთში „სერვის ცენტრის“ გახსნა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას. (4) ჩოჩხათის თემის სოფელ მოედანში არსებული ბუნების ძეგლის, ორკარის კანიონის მისასვლელი გზის მოასფალტება, (5) სოფ. შრომისუბნიდან სოფ. მოედნის ბოლომდე (კანიონის შესასვლელამდე) ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც ობიექტს მეტად მიმზიდველს გახდის ვიზიტორებისათვის. (6) საჭიროა მდინარე სუფსისა და სუფსის ხეობის მეტი პოპულარიზაცია და გარშემო გარემოს გაუმჯობესებაზე აქცენტის გაკეთება. კანიონის გამოსასვლელიდან შეიძლება მოეწყოს ინფრასტრუქტურა ჯომარდობის სერვისისთვის, შესაძლებელია მოსახლეობის მხრიდან მოხდეს გურული კერძებისა და ღვინის დაგემოვნების ობიექტების მოწყობა. სოფ. აცანა და აცაურას ხეობა (გადმოსახედით) ასევე მუნიციპალიტეტის ტურისტული ნიშაა. აქცენტი უნდა გაკეთდეს სოფ. ორაგვის პოტენციალის სრულად გამოყენებაზე. მომზადებულია პროექტი, რომელიც ითვალისიწინებს სამების მთაზე (ზღვის დონიდან 523 მ), რომელიც გადაყურებს კოლხეთის დაბლობის ორ მესამედს, გადმოსახედის მოწყობა. გადმოსახედი სამების მთიდან იქნება ერთ-ერთი ყელაზე მიმზიდველი ტურისტული ობიექტი, 360 გრადუსიანი ხედვის შეუზღუდავი პანორამა უნიკალურს გახდის გადმოსახედს მთის ფერდობზე, რომელიც დაფარულია პირველყოფილი კოლხური ტყით. ამ ტერიტორიაზე მოეწყობა ბილიკები ეკოტურიზმისათვის, ასევე გათვალისწინებულია (1) მცირე გადმოსახედის მოწყობა აცანაში; (2) მიზანშეწონილია ჩატარდეს ტურისტული გამოფენები ყოველ ზაფხულს გრიგოლეთში, ურეკსა და შეკვეთილში; (3) დაგეგმილია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტში მწვანე ტურიზმი და ა.შ.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი (45კმ). ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო 37,7 კმ. ასფალტობეტონის და ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების საერთო მდგომარეობა არასახარბიელოა,

დაზიანების სიმძიმე რელიეფის მიხედვით იცვლება, საშუალოვადიან პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიძლება ითქვას უკიდურესად მნიშვნელოვანია მოხდეს 20-30 კმ გზის სრული აღდგენა რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტში არის სარკინიგზო მაგისტრალი (43კმ) და მოწყობილია 163 ხიდი. აქედან, 52 საფეხმავლო და 111 სამანქანო. 163 ხიდიდან რეაბილიტაცია ჩაუტარდა 104 ხიდს, ხოლო 67 მოეწყო ახლიდან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების მდგომარეობა საექსპლუატაციოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ რელიეფიდან და ჩქარი დინების მდინარებიდან გამომდინარე წყალდიდობების დროს ხშირად ხდება მათი დაზიანება, რაც იწვევს სასწრაფო აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

მოწყობილია სასმელი წყლისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენს 795 კმ-ს. სასმელი წყლის მიწოდება ხდება მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე (10,000 მოქალაქე), რომლის მთლიანი რეაბილიტაცია დასრულდა 2014 წელს, ხოლო დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულში მიეწოდებათ ტექნიკური წყალი, რომელიც რიგ შემთხვევაში საჭიროებს აღდგენას გასაფილტრი სადგურების მოუწყობლობის გამო. პრობლემის მოგვარება გართულებულია სათავნაგებობების სიმრავლით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს 100-მდე სათავე-ნაგებობა.

მუნიციპალიტეტში მოწყობილია 12 კმ. სიგრძის კანალიზაციის სისტემა, რომელიც მხოლოდ ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზეა და დაახლოებით ქალაქის 20% მოიცავს, არსებული ქსელი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოეწყო რომლის ძირითადი ნაწილი საჭიროებს გეგმიურ რეაბილიტაციას. ასევე სრულად არის ამორტიზირებული გამწმენდი ნაგებობა და ფეკალური მასები პირდაპირ ჩაედინება არსებულ მთისძირა საწრეტ არხში და ხდება მისი დაბინძურება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათება მოწყობილია 75%. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ეტაპობრივად გვარდება დარჩენილი გარე განათების მოწყობაც.

მთლიანად გაზიფიცირებულია ქალაქ ლანჩხუთი, შუხუთის და გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული. ნაწილობრივ გაზიფიცირებულია მაჩხვარეთის და სუფსა, ნიგოითის, აცანის, ჩიბათის, ლესის და აკეთის, ასევე ღრმარელის ადმინისტრაციული ერთეულები.

მუნიციპალიტეტში არის 12 სკვერი, 1 პარკი და 1 ნაკრძალი. სკვერის ძირითადი ნაწილი გამწვანებულია, მაგრამ რიგ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს დამატებით გამწვანება ბუნებრივი ნარგავებით, რაც გააუმჯობესებს როგორც ეკოლოგიურ გარემოს და იერსახეს.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის მოწყობით ბიზნესის განვითარებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით აქტიური მუშაობა. მათ შორის აქცენტის გაკეთება დაგეგმილია ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი და მათ გარშემო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაც ადგილბორივ მოსახლეობას ხელს შეუწყოს უფრო მრავალფეროვანი სერვისები შესთავაზონ დამსვენებლებს.

ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოსახლეობის მიერ ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც არსებული მომენტისათვის სრულებით ვერ ხერხდება და მოსახლეობას გარკვეული სამედიცინო მომსახურებების მისაღებად უწევთ მუნიციპალიტეტიდან გასვლა. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია შეთავაზებული სამედიცინო სერვისების მრავალფეროვნების გაზრდა და ინფრასტრუქტურული, ტექნიკური და მაღალკვალიფიციური პერსონალით აღჭურვა.

სოციალური მომსახურება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 2,061-ს, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 173-ს.

ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც გაიცემა კვების ვაუჩერი. ასევე მოწყობილია ბავშვთა დღის ცენტრი. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარებები, რაც რა თქმა უნდა, საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს. აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამებს, რომლითაც ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს, დევნილ ოჯახებს, გარდაცვლილი ომის მონაწილეთა ოჯახებს და სხვა. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

მუნიციპალიტეტის პოლიტიკა მიმართული იქნება სოციალური პრობლემების მქონე ოჯახების არა მხოლოდ ერთჯერად დახმარებებზე, არამედ მათთვის საჭირო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობაზე, რასაც უფრო მეტად გრძელვადიანი ეფექტი აქვს.

განათლება, კულტურა და სპორტი

განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლაა, მათ შორის ერთი კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 3,631-ია, ხოლო მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 621 ადამიანს. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს 21 ბაღი, სადაც ირიცხება 1,165 აღსაზრდელი და მუშაობს 432 თანამშრომელი. დღეის მდგომარეობით, ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, ყოველწლიურად ხდება მათი განახლება.

კულტურისა და სპორტის სერვისები. მუნიციპალიტეტში გვხვდება სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. აღნიშნული სკოლების ძირითადი მიზნები და ამოცანებია მოსწავლეებისთვის დაწყებითი სამუსიკო და სამხატვრო განათლების მიცემა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა, შესწავლა, მათი მომზადება მუსიკალური და სამხატვრო განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში ფუნქციონირებს ეგნატე ნინოშვილის სახელობის ლანჩხუთის სახალხო თეატრი და ანსამბლები, 17 ბიბილოთეკა და ხუთი მუზეუმი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას დაინტერესდნენ და ჩაერთონ სპორტის 9 სახეობაში. მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში ირიცხება 340 ბავშვი, რომლებსაც ემსახურება 27 მწვრთნელი და ოთხი საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალისტი.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება განათლებისა და კულტურის ხელშეწყობით ცდილობს ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას, მათი პოპულარიცაზიის ხელშეწყობას და ახალგაზრდების ხელოვნებით დაინტერესების წახალისებას. ასევე, აქცენტი გაკეთდება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე.

გარემოს დაცვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით. ძირითადად გავრცელებულია კოლხური ჭაობიანი მურყანის ტყეები, ასევე გვხვდება წიფლნარ-

რცხილნარი ტყეები. სახელმწიფო ტყის საერთო ფართობი შეადგენს 18 461 ჰა. მუნიციპალიტეტის ფაუნა მრავალფეროვანია.

მუნიციპალიტეტში დამახასიათებელია შემდეგი ბუნებრივი საფრთხეები: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი და ეროზია. მეწყერული მოვლენები მწვავედ არის გამოხატული აცანის, აკეთის, ნინოშვილის, ჩოჩხათისა და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ფართო მასშტაბებს აღწევს და მოიცავს თითქმის მთელი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიას. ლესის, ჯურუყვეთის, მამათისა და მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გვხვდება მსგავსი პრობლემები, მაგრამ შედარებით მსუბუქი ფორმით.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში კანალიზაციის ქსელისა და გამწმენდი ნაგებობების არარსებობა. ქალაქ ლანჩხუთის მხოლოდ 20% არის დაფარული საკანალიზაციო ქსელით, რომელიც შემდეგ პირდაპირ ჩაედინება ღია არხში და არხის გავლით შავ ზღვაში. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ერთეულებს არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა.

ნარჩენების მართვა და ოპერირებას მუნიციპალიტეტში ახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩხუთი სერვისი“. ლიცენზირებული ნაგავსაყრელის არარსებობის გამო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეკრებილი ნარჩენების გატანა ხდება სხვა მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

თვითმმართველობაში ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელია იუსტიციის სამინისტროს მომსახურების სააგენტო, მაგისტრატი სასამართლო, პოლიცია, ნოტარიუსი, პრობაციის ეროვნული ბიურო, აღსრულების ეროვნული ბიურო.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 10,142.7 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც სრულად 100% არის საკუთარი შემოსავლები. 2019 წელთან მიმართებაში საკუთარი შემოსავლების ზრდა მოსალოდნელია დაახლოებით 6,1%-ით. 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 10,817.3 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის დაახლოებით 9,4% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე სრულად მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტის მხოლოდ 10%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 21,3%, განათლების ხელშეწყობის მხრივ - 23,2%, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის - 6,6%.

3.SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ინფრასტრუქტურის განახლებისა და გაუმჯობესების მიმდინარე პროექტები;
- საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ ტურნირებში აქტიური მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის სიახლოვე შავ ზღვასთან და მასზე განთავსებულ საზღვაო პორტებთან;
- ხელსაყრელი მდებარეობა საერთაშორისო მნიშვნელობის ობიეტებთან; (საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები)
- ელექტროენერგიის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემით;
- მესათბურეობის და მეფუტკრეობის განვითარებისათვის შესაბამისი ბუნებრივი პირობები;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეების შეფასების ბაზის არსებობა;
- სოციალურად დაუცველთა თავშესაფრების არსებობა;

- ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა;

სუსტი მხარეები:

- სასწავლო დაწესებულებებში სტანდარტთან ნაწილობრივ შეუსაბამო ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობა;
- დასახლებების იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების (სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სანიაღვრე) გაუმართაობა და ბუნებრივი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი;
- შედღუდული ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე;
- საექსპორტო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა;
- ინვესტიციების სიმცირე; - ტურისტული მომსახურების დაბალი დონე;
- აგრარული გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე;
- ფერმერების აგრარული ცოდნის დაბალი დონე;
- ნარჩენების სეპარაციის სისტემის არარსებობა და მყარი ნარჩენების მართვის სისტემის არაეფექტურობა;

შეაძლებლობები:

- ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადების შესაძლებლობა;
- მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმოების პოტენციალი და მიწის ნაყოფიერების მართვის ეფექტური მექანიზმის შექმნა;
- სახელმწიფოსა და დონორების მიერ ბიზნესის სექტორის ხელშეწყობის პროგრამების ინიცირების შესაძლებლობა;
- ტურისტების მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერირების პროცესების სტიმულირება;
- გამოუყენებელი/ნასვენი ფართობების ჩართვა წარმოებაში.;
- პრევენციული ჯანდაცვის განვითარება;
- გარემოს დაცვის სფეროს მიმართ საერთაშორისო დონორების მზარდი ინტერესი, გრანტების მოპოვების შესაძლებლობა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით;
- სატყეო პოლიტიკის განხორციელება;

საფრთხეები:

-ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების გამო არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე;

-ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი;

4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა

დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით. გარდა სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობებისა სამუშაო ჯგუფებში ასევე დასახელდა ისეთი განსახორციელებელი საკითხები, რომლებიც მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული, თუმცა მიიჩნევა პრიორიტეტულ საკითხებად. ესენია:

ამოცანა 1.3. გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;

ამოცანა 2.2. მიწის რესურსისა და მუნიციპალური ქონების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა;

ამოცანა 2.3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ა

მოცანა 3.1. მოსახლეობის ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება;

ამოცანა 3.2. სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

ამოცანა 3.3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების განვითარება;

5.მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს. მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.

შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის. შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის;

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ** აღნიშნა, რომ ის პროექტები, რომლებიც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტებისთვის და მათში მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა, მას ანიჭებს უპირატესობას ამ პროექტებთან დაკავშირებით გრანტების განხილვის დროს. სწორედ ამან მისცა საშუალება და რამდენიმე პროექტი უკვე მოიგო მუნიციპალიტეტმა, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ კარანტინის პირობებში გრძელდებოდა მუშაობა და გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება, რომლებიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გრიგოლეთის, როგორც საკურორტო ზონის განვითარებისთვის. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა მოიგო ორი მცირე პროექტი, როგორიცაა ჩოჩხათსა და აცანაში ტურისტული ადგილების მოწყობა. ამ კუთხით მიდიოდა მუშაობა და ყველაფერი მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად და ელოდებიან თანხმობას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:
1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2020-2023) დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.
მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **ლელა ჩახვაძე** დაინტერესდა, თუ რა შეღავათებს სთავაზობს მთავრობა ფერმერებს პანდემიის დროს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** განმარტა, რომ მთავრობის მიერ ფერმერებისთვის საშეღავათო პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 0.25-დან 10 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით. დარიცხვა მოხდება ლიბერთი ბანკის ბარათზე (200 ქულა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად სპეციალიზებულ მაღაზიებში). მათ, ვისაც ასეთი ბარათი არ აქვთ, ლიბერთი ბანკში დაუმზადდებათ უფასოდ.

გარდა ამისა, ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას.

ასევე, შეღავათით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალიწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა. პროგრამის ფარგლებში დიზელის საწვავის შეძენა დაახლოებით 1 ლარამდე ნაკლებ თანხად არის შესაძლებელი.

შეღავათები გავრცელდება სამელიორაციო მომსახურებაზეც. ფიზიკური და იურიდიული პირები 2020 წელს სრულად გათავისუფლდება 10 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთების სამელიორაციო საფასურისგან. გარდა ამისა, აუმეტეს 50 000 ლარის შემთხვევაში, სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის შესაძენად, ახალი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად ან არსებულის გასაახლებლად და ერთწლიანი სასოფლო–სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემების შესაძენად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფერმერები 50%–იან თანადაფინანსებას მიიღებენ.

პირველ ეტაპზე, 20 მაისიდან, ფასდაკლების ბარათები გაიცემა ფიზიკურ პირებზე, ხოლო 1 ივნისიდან მიწის თანამესაკუთრეებსა და იურიდიულ პირებზე. ბარათების გაცემა მოხდება პროგრამის ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, ხოლო თანამესაკუთრეების შემთხვევაში, მათ უნდა წარმოადგინონ დამატებით შესაბამისი მინდობილობა.
პირველ ივლისამდე, ფასდაკლების ბარათით შესაძლებელია არაუმეტეს 50 ლიტრის ოდენობის საწვავის შეძენა, 1 ივლისიდან 1 სეტემბრამდე - არაუმეტეს 300 ლიტრის, 1 სექტემბრიდან კი, შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათის განაღდება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის **ბესიკ კუპრაძის** თქმით, არის ისეთი სიტუაციებიც, როდესაც თანამესაკუთრე არ იმყოფება საქართველოში. ამ შემთხვევაში უცხოეთში მყოფ თანამესაკუთრეს უნდა დაუკავშირდნენ სკაიპით და ნოტარიულად მოხდეს დადასტურება. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, არის თუ არა იმის საშუალება, რომ ეს პროცესები გამარტივდეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ოზურგეთში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა სწორედ ეს საკითხი დასვა. იყო საუბრები, რომ ასეთი შემთხვევის დროს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი მივიდეს ოჯახში, შეამოწმოს და დაადასტუროს ფაქტი, რომ პიროვნება ნამდვილად თანახმაა, რითაც საგრძნობლად გააიოლოს გლეხისთვის შეღავათით სარგებლობის პროცესი.

მერის პირველმა მოადგილემ **ბიძინა იმნაიშვილმა** თავის მხრივ აღნიშნა, რომ შეხვდრაზე მათი მხრიდან ყურადღება გამახვილდა ამ საკითხზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ელოდებიან პასუხს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და მერის პირველ მოადგილეს, ხომ არ ფლობენ რაიმე ინფორმაციას, როდის მოხდება შიდა ტრანსპორტის აღდგენა, რადგან ყველას არ ჰყავს საკუთარი სატრანსპორტო საშუალება, რის გამოც მოსახლეობისთვის ძალიან რთულია გადაადგილება.

მერის პირველმა მოადგილემ **ბიძინა იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს თემა ნამდვილად მოსაგვარებელია, მაგრამ ამ ეტაპისთვის კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობენ, რადგან საკითხი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია და რამდენიმე დღეში გადაწყდება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო